

კაპიტალიზმი ომია

მის შესაჩერებლად, მშრომელთა კლასმა უნდა დაამხოს კაპიტალიზმი.

ეს უნდა მომხდარიყო, შეჯახება კაპიტალიზმებსა და მსოფლიოს მოზიარე სახელმწიფოებს შორის გარდაუვალია. უკრაინა მხოლოდ დასაწყისია: დაპირსპირება გლობალური, იმპერიალისტ სახელმწიფოებს და არა „დემოკრატიულ“ და „ავტორიტარულ რეჟიმებს“ შორის, ისე, როგორც ეს მათ სურთ რომ წარმოადგინონ. შეერთებული შტატებიდან, ჩინეთამდე, რუსეთამდე, დიდ ბრიტანეთამდე, იაპონიამდე, საფრანგეთამდე და იტალიემდე ყველა კბილებამდე იარაღდება რათა დაინაწილონ ტერიტორიები და გავლენის სფეროები მსოფლიოს გარშემო. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები დაფუძნებულია ძალაზე და არა აბსტრაქტულ საერთაშორისო სამართალზე.

განსხვავება აგრესორებსა და აგრესიის მსხვერპლებს შორის მოჩვენებითია, ეს იმპერიალისტური ომის ფრონტზე ორივე მხარის გასამართლებელი ბერკეტია.

ყველა ეროვნული კაპიტალიზმი თანადროულად არის აგრესორიც და აგრესიის მსხვერპლიც.

მათ ყველას, ემუქრებათ კაპიტალისტური ეკონომიკის პანდემიით გამწვავებული გლობალური კრიზისის საფრთხე, რომელიც შეუჩერებლად იზრდება საქონლისა და კაპიტალის უზარმაზარი ჭარბწარმოების გამო. ისინი ყელში უჭერენ ერთმანეთს რათა დაინაწილონ დაღმავალი მოგებები.

და იმიტომ, რომ კაპიტალიზმის საფრთხეს განიცდის იმისგან, რაც თვითონვე შექმნა, თავისი განვითარების პროცესში: კომუნიზმისგან. კომუნიზმი, არის ის საფრთხე რომელიც მწიფდება თვით თანამედროვე მსოფლიოს შიგნით და მატერიალურად ისახება ცხოვრების ყველა ასფექტზე.

კაპიტალიზმმა ჩამოაყალიბა და გაზარდა თავისივე საფლავის მთხრელი, საერთაშორისო პროლეტარიატი, რომელიც წინასწარაა განსაზღვრული აუჯანყდეს ტანჯვა-წამების იმ პირობებს, რომლისკენაც მიუძღვება მათ კრიზისი.

ის რაც მიმართავს კაპიტალიზმს ომისკენ არაა კონკრეტული პოლიტიკური იდეოლოგია ან კულტურა ანდაც ეროვნული ტრადიცია: ეს ყველაფერი მხოლოდ ტყუილია, რომლითაც ბურჟუაზიული რეჟიმები ამართლებენ კონფლიქტებსა და წმენდენ კაპიტალიზმს მისსავე სისაძაგლეებისგან.

რუსეთი, რომელიც ოქტომბერში კომუნისტური გახლდათ, სტალინისტური კონტრ-რევოლუციის და ძველი ბოლშევიკური გვარდიის დამარცხების შემდეგ, სხვებს შორის კაპიტალისტურ სახელმწიფომდე დეგრადირდა. **იმპერიალისტურ ომის მაპროვოცირებელი მსხვილი კაპიტალის უზომო ინტერესებია.** ყოველ დღე ამ ინტერესებისთვის მილიარდობით პროლეტარი იჩაგრება, კარგავს სამსახურს და შიმშილობს, ხდება იძულებული იმუშაოს პირობებში, რომლებიც მის სიკვდილს უბედური შემთხვევით თუ ავადმყოფობით იწვევენ. დანახარჯის დასაზოგად და მეტი მოგების მისაღებად, ბურჟუაზია იწვევს ბუნებრივ, ინდუსტრიულ, ინფრასტრუქტურულ და ჯანდაცვით კატასტროფებს, რომლებიც ათასობით მსხვერპლს იწირავენ.

იმპერიალისტური ომი არ არის მხოლოდ ბურჟუაზიებს შორის კონფლიქტი, რათა დაიყონ მსოფლიო ბაზარი: **ის ყველა ბურჟუაზიის გაერთიანებული ომია მშრომელთა წინააღმდეგ მსოფლიოს გარშემო**, რათა შეინარჩუნონ ისინი დანაწევრებული, დამორჩილებული და დაშინებული. ერთადერთი გამოსავალი რომელიც კაპიტალიზმს კრიზისიდან გააჩნია, **სიცოცხლესთან ბრძოლაა:** განადგურება არა მხოლოდ ჭარბი პროდუქტის, არამედ თვით ცოცხალი არსებების, სამუშაო ძალა-საქონლის, მილიონობით მუშის.

უკრაინაში შეჭრამდე რამდენიმე კვირით ადრე, რუსი ჯარისკაცები ყაზახეთში გაგზავნეს, რათა ადგილობრივ ბურჟუაზიულ რეჟიმს გაზის მზარდი ფასის გამო დაწყებული პროლეტარული აჯანყების სისხლში ჩახშობაში მიხმარებოდნენ რეპრესიაში რომელმაც მსოფლიოს ყველა ბურჟუაზიისგან ერთხმად მიიღო თანხმობა, ყალბად კომუნისტური ჩინეთიდან, ავტოკრატიულ თურქეთამდე და დასავლურ დემოკრატიებამდე.

კაპიტალის ყველა ინტერესი და მისი გადარჩენის უნარი სახელმწიფო და სამხედრო მანქანაშია კონცენტრირებული. მათ დაცვას კი ისინი გარდაუვლად ომამდე მიჰყავს.

თუ მშრომელი კლასი პირველი ვერ მოახერხებს კაპიტალიზმის დამხობას, უზარმაზარი და გამანადგურებელი კონფლიქტი მსოფლიოს გადააქცევს ბრძოლის ველად, რომელზეც მშრომელებს შესაბამისი ბურჟუაზიებისთვის და მათი პოლიტიკური ძალაუფლების შენახვისთვის სისხლის დასადვრელად მოუხმობენ

აღმოსავლეთი ევროპა მხოლოდ ერთ-ერთია იმ ფრონტებს შორის, რომლებზეც იმპერიალიზმები იბრძვიან : იგივე ომის ციალი მოჩანს წყნაროკეანეთიდან, ტაივანისა და ჩინეთის - ამერიკული იმპერიალიზმის მთავარი სტრატეგიული მოწინააღმდეგის გარშემო.

ომი უკრაინაში, როცოც იუგოსლავიაში, კიდევ ერთხელ ფანტავს მშვიდობიანი ევროპის ილუზიას და ამტკიცებს იმას, რასაც რევოლუციური მარქსიზმი ყოველთვის ამტკიცებდა: **სანამ არსებობს კაპიტალიზმი, შეუძლებელია მშვიდობის არსებობა; შეუძლებელია ეროვნულ კაპიტალიზმებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა.**

შესაბამისად, ომი უკრაინაში არ არის გამოწვეული მხოლოდ პუტინის აგრესიული პოლიტიკით, როგორ ზედაპირულადაც მათ უნდათ დაგარწმუნონ: მას იწვევს ბურჟუაზიული რეჟიმი, რომელიც რუსული და გლობალურია. მას იწვევს კაპიტალიზმი, რომელიც მთლიანად ომით არის ორსულად. მის შესაჩერებლად, მშრომელები არ უნდა გაყვნენ არც ნაციონალისტური, ღიად ბურჟუაზიული პარტიების და არც იმ ოპორტუნისტული მშრომელთა პარტიების მითითებებს, რომლებიც მათ მუდამ მოუწოდებენ "არჩევანის გაკეთებისკენ", სხვასთან შედარებით "ნაკლებად მილიტარისტულ", "ნაკლებად ანტი-პროლეტარულ", "უფრო დემოკრატიულ" ფრონტზე მიმხრობისკენ. მშრომელები უნდა გაერთიანდნენ, საზღვრების გადაღმა, ყველა იმპერიალისტური ფრონტის და პირველ რიგში საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. **1848 წლის პირველი კომუნისტური დევიზი - პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით! - დღემდე ჭეშმარიტი და რელევანტურია.**

კომუნისტების დევიზი ამ ომში ლენინის და მემარცხენე კომუნისტების დევიზია პირველი მსოფლიო ომის წინააღმდეგ: **გადააქციეთ იმპერიალისტური ომი რევოლუციად.**

დღეიდან მშრომელებმა საკუთარი ორიენტაცია და პოზიცია უნდა გამოაცალკეონ საკუთარი ბურჟუაზიის ინტერესებისგან, დღეიდან მათ საკუთარი საცხოვრებელი და სამუშაო პირობების დასაცავად საკუთარი ეროვნული კაპიტალიზმის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ.

არ არსებობს ინტერესთა თანხვედრა მშრომელ კლასსა და ბურჟუაზიულ კლასს შორის. ე.წ. "ქვეყნის საერთო კეთილდღეობა" მხოლოდ იდეოლოგიური საბურველია, რომელიც ეროვნული კაპიტალიზმის ინტერესების დაცვას ფარავს.

მშრომელებისთვის მათი ბურჟუაზიის მხარდაჭერა, "ქვეყნობრივი სისტემის" კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად საცხოვრებელი და სამუშაო პირობების დათმობა **დღეს**, ნიშნავს მმართველი კლასის იმ ლოკომოტივზე მიბმას, რომელიც **ხვალ** მათ, მათივე მჩაგვრელი სოციალური პრივილეგიების და პოლიტიკური ბატონობის დაცვაში სისხლის დასადვრელად გაუძღვება.

ხსნის გზა არა მსოფლიო არენაზე მათი საკუთარი ბურჟუაზიის სიძლიერეში, არამედ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო ერთობაშია.

ამ სოციალური ომისთვის ჩვენ პროლეტარული ბრძოლის იარაღები გვჭირდება, ჩვენ გვჭირდება ნამდვილი კლასობრივი პროფკავშირების აღდგენა და საერთაშორისო კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ ბრძოლა.